ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №66-ა

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 2018 წლის 27 მაისი
ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომ "ხელშეკრულება") ნიშნავს "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის №1 ბრძანებით დამტკიცებული დებულების საფუძველზე დამკვეთ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს მომსახურების შესყიდვას;

1.3 "მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ პირს, რომელმაც „შემსყიდველთან" გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;

1.4 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულყოფილად შესრულებისთვის;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია: ერთის მხრივ **სსიპ „ქალაქ რუსთავის #13 საჯარო სკოლასა"** (შემდგომში „შემსყიდველი"), რომელსაც წარმოადგენს **ამ სკოლის დირექტორი ლელა ქურდაძე** და მეორეს მხრივ – **აუდიტურ კომპანია „კომპაუდს"** (შემდგომში "მიმწოდებელი") შორის, რომელსაც წარმოადგენს მისი **დირექტორის მინდობილი პირი ნუგზარ ხიჯაკაძე.**

მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

3. ხელშეკრულების საგანი

1.1. წარმოდგენილი მოძრავი ქონების (შემდგომში „შეფასების ობიექტი") საბაზრო ღირებულების დადგენა;

1.2. სკოლის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ჩამოსაწერად მიჩნეული და გამიზნული, ამორტიზებული ძირითადი და მცირეფასიანი აქტივების ჩამოწერა და ჩამოწერის შედეგად მიღებული ლითონის შემცველი ნარჩენების (ჯართი) სავარაუდო წონისა და საბაზრო ღირებულების დადგენა (კლასიფიკატორის CPV-79212000 კოდი).

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 გასაწევი მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 200.00 (ორასი ლარი და 00 თეთრი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადის გათვალისწინებით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 „შემსყიდველს" უფლება აქვს:

5.1.1 „მიმწოდებლისგან" მოითხოვოს მომსახურების ხარისხიანად გაწევა მიმდინარე წლის 27 მაისიდან 08 ივნისამდე პერიოდში;

5.1.2 „მიმწოდებლისგან" მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობების დაცვა;

5.2 „შემსყიდველი" ვალდებულია:

5.2.1 გადასცეს „მიმწოდებელს" ყველა საჭირო დოკუმენტაცია, რომელიც შეეხება და დაკავშირებულია აუდიტის საგანთან;

5.2.2. შეუქმნას „მიმწოდებელს" აუდიტის ჩატარებისათვის საჭირო სამუშაო პირობები;

5.2.3 უზრუნველყოს აუდიტური შემოწმებით გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება;

5.3 „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

5.3.1 მოქმედი კანონმდებლობის, ნორმებისა და სტანდარტების, აგრეთვე „შემსყიდველთან" დადებული ხელშეკრულების პირობების საფუძველზე განსაზღვროს აუდიტის ჩატარების ფორმები და მეთოდები;

5.3.2 „შემსყიდველისგან" მოითხოვოს აუდიტის საგანთან დაკავშირებული ყველა საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენა;

5.3.3 უარი თქვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევაზე იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი" არ უზრუნველყოფს მისთვის აუდიტის ჩასატარებლად საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენას;

5.3.4 მოითხოვოს გაწეული მომსახურების ღირებულების სრული და დროული ანაზღაურება;

5.3.5 „შემსყიდველისგან" მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების დაცვა;

5.4 „მიმწოდებელი" ვალდებულია:

5.4.1 ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

5.4.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა, საქართველოში მოქმედი აუდიტური სტანდარტები და ხელშეკრულებით დადგენილი პირობები;

5.4.3 „შემსყიდველს" აცნობოს აუდიტური შემოწმებისას გამოვლენილი ხარვეზებისა და ნაკლოვანებების შესახებ;

5.4.4 საიდუმლოდ შეინახოს აუდიტური შემოწმებისას (მომსახურების გაწევისას) მიღებული ყველა სახის ინფორმაცია.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მომსახურება გაწეულად ჩაითვლება „მიმწოდებლის" მიერ აუდიტური დასკვნისა და ანგარიშის წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება ეძლევა ამ ხელშეკრულების ხელის მომწერ პირებს.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 „მიმწოდებლის" მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე "შემსყიდველის" მხრიდან კონტროლს განახორციელებს სკოლის დირექტორი.

8. გასაწევი მომსახურების ხარისხი და გარანტია

„მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ იგი უზრუნველყოფს მომსახურების მაღალხარისხოვნად გაწევას და რომ მისი ქმედებით ზარალი არ მიადგება „შემსყიდველს".

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან" განხორციელდება ლარებში.

9.2 ანგარიშსწორება მოხდება წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 საბანკო დღის განმავლობაში.

9.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება „მიმწოდებლის" საბანკო ანგარიშზე.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;

11.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია გასაწევი მომსახურების განსაზღვრული ფასის გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის;

11.3 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს;

11.4 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, „შემსყიდველი" არ არის ვალდებული წარმოუდგინოს „მიმწოდებელს" რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლეთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა;

11.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. სუბ-კონტრაქტორები

13.1 იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტის დადების ან სუბკონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, „მიმწოდებელმა" წერილობით უნდა აცნობოს „შემსყიდველს" ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

13.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში ყველა სუბ-კონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულების ასლი უნდა წარედგინოს „შემსყიდველს" მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.

13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა" და/ან „ მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. მხარეთა პასუხისმგებლობა

15.1 გაწეული მომსახურების ღირებულების დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში, „შემსყიდველს“ ერიცხება საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2% ოდენობით;

15.2 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში „მიმწოდებლის“ მხრიდან ხელშეკრულების 5.1.1 ქვეპუნქტში გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1% ოდენობით;

15.3 თუ „შემსყიდველი“ ვერ უზრუნველყოფს „მიმწოდებლისათვის“ აუდიტის საგანთან დაკავშირებული აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებას და სათანადო სამუშაო პირობების შექმნას, „მიმწოდებელი“ იტოვებს უფლებას შეაჩეროს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

15.4 „მიმწოდებელს“ აუდიტური მომსახურების არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში ეკისრება მიყენებული ზარალის ანაზღაურების (ქონებრივი) პასუხისმგებლობა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

16.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

16.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

16.5 „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში „შემსყიდველი“ ვალდებულია აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

17. დავების გადაწყვეტის წესი

დავების გადაწყვეტა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

18. სხვა პირობები

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების დადების დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 ივლისამდე.

18.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად (ერთი შემსყიდველს, ერთი მიმწოდებელს) და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

„შემსყიდველი“	*„მიმწოდებელი“*
სსიპ ქ. რუსთავის N13 საჯაროსკოლა.	*აუდიტური კომპანია „კომპაუდი“*
მისამართი: ქ.რუსთავი. მეგობრობის ქ. N47ა	ქ.თბილისი. აკ. წერეთლის გამზ. №95ა.
ს/კ: №216317117	საბანკო რეკვიზიტები:
საბანკო რეკვიზიტები:ს.ს.„ლიბერთიბანკი”	ს.ს. „საქართველოს ბანკი“
საბანკოკოდი:LBRTGE22	ა/ა GE62BG0000000192631800,
ანგარიშსწორებისანგარიში :	ბ/კ BAGAGE22,
GE75LB0121111915063000	/კ №202385169
დირექტორი:	დირექტორის მინდობილი პირი:
ლელა ქურდაძე	ნუგზარ ხიჯაკაძე

ა ქ ტ ი

გაწეული აუდიტორული მომსახურების მიღება–ჩაბარების შესახებ

ქ. თბილისი 2018 წლის 06 ივნისი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, სსიპ ,,ქალაქ რუსთავის #13 საჯარო სკოლის" დირექტორი ლელა ქურდაძე და აუდიტური კომპანია ,,კომპაუდის" დირექტორის მინდობილი პირი ნუგზარ ხიჯაკაძე ვადგენთ აქტს მასზედ, რომ კომპანიამ შეასრულა 2018 წლის 27 მაისს გაფორმებული №66-ა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

,,შემსრულებელმა" ჩააბარა, ხოლო ,,დამკვეთმა" ჩაიბარა:

– ანგარიში და დასკვნა აუდიტორულ მომსახურებასთან დაკავშირებით – ერთ ეგზემპლარად.

მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება შესრულებულია და ექვემდებარება ანაზღაურებას.

,,მიმწოდებელი"
ნ. ხიჯაკაძე

,,შემსყიდველი"
ლ.ქურდაძე

საგადასახადო ანგარიშფაქტურა

დანართი NoIII-05
დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის
31.12.2010 წ. N996 წლის ბრძანებით

დადასტურებული 07/06/2018 12:38

1	ეა-14 7160411

3	ივნისი	2018

ოპერაციის განხორციელების პერიოდი
(თვე სიტყვიერად, წელი)

4	06	ივნისი	2018

გამოწერის თარიღი
(რიცხვი, თვე სიტყვიერად, წელი)

5 გამყიდველი

5.1	2	0	2	3	8	5	1	6	9		

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

5.2	შპს კომპაუდი

დასახელება (სახელი, გვარი)

6 მყიდველი

6.1	2	1	6	3	1	7	1	1	7		

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

6.2	საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ რუსთავის #13 საჯარო სკოლა

დასახელება (სახელი, გვარი)

საქონლის (მომსახურების) დასახელება	ზომის ერთეული	მიწოდებული საქონლის რაოდენობა	საქონლის (მომსახურების) ღირებულება დღგ-ს და აქციზის ჩათვლით	მათ შორის	
				დღგ-ს თანხა	აქციზის თანხა
აუდიტორული მომსახურება	მომსახურება		200.0000	30.5100	0.0000
		სულ	200	30.51	0

სასაქონლო ზედნადების No

თარიღი

ხელმძღვანელის, ან სხვა უფლებამოსილი პირის

ხელმოწერა_____ბ.ა.

მყიდველს ჩაბარდა ხელზე

ხელმოწერა_____ბ.ა.

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

ლიბერთი ბანკი

საგადახდო დავალება #: 620

თარიღი: 2018 წლის 07 06, ხუთშაბათი

GEL	
GEL	
200.00	
თანხა სიტყვიერად	
ორას ნული GEL და 00	

გადამხდელის დასახელება:	საჯარო სამართლის იურიდიული პირი" ქალაქ რუსთავის #13 საჯარო სკოლა"
ანგარიში (დებეტი):	GE75LB0121111915063000
გადამხდელის ბანკი:	სს "ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი:	LBRTGE22
გადასახადის გადამხდელის დასახელება:	
საიდენტიფიკაციო კოდი:	
საბიუჯეტო შემოსავლის კოდი:	
მიმღების დასახელება:	შპს კომპაუდი
საიდენტიფიკაციო კოდი:	202385169
ანგარიში (კრედიტი):	GE62BG0000000192631800
მიმღების ბანკი:	"საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი:	BAGAGE22
გადახდის დანიშნულება:	აუდიტორული მომსახურების საფასური
ხელმოწერა:	

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 07.06.2018

ხელმოწერა:

ქალაქ რუსთავის #13 საჯარო სკოლა • LEPL Rustavi Public School #13 • 216317117

ლიბერთი ბანკი LIBERTY BANK

დოკუმენტი დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან

ხელწერილი

(ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ)

ქ. რუსთავი 27 მაისი 2018 წ.

ჩვენ, მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე პირები ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ აუდიტორული მომსახურების შესყიდვის მიზნით, გამარტივებული შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების" შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესაბამისად, შპს „კომპაუდი"-ს (ს/კ: 202385169) მიმართ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

სსიპ ქალაქ რუსთავის N13 საჯარო
სკოლის დირექტორი /ლელა ქურდაძე/

მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე პირი: /ნესტან ბერაძე/

ხელწერილი

(ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ)

ქ. რუსთავი 27 მაისი 2018 წ.

„სახელმწიფო შესყიდვების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, ვადასტურებ, რომ სსიპ ქალაქ რუსთავის N13 საჯარო სკოლასა და შპს „კომპაუდი“-ს (ს/კ: 202385169) შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელებისას არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში.

ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირი /მაია შიუკაშვილი/